

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 მოწვევის  
სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი  
ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის  
დღის წესრიგის პროექტი

1. ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დამტკიცების შესახებ;
2. კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესის შესახებ;
3. საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობისა და ბათილობის საფუძვლის განსაზღვრის შესახებ;
4. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
5. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელს რეგისტრაცია;
6. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
7. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებლის რეგისტრაცია;
8. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
9. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებლის რეგისტრაცია;
10. საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაცია;
11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ახალი ფორმის დამტკიცება.

ზურაბ გოგშელიძე  
ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი  
02.06.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის  
არჩევნების ჩატარებისთვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
სხდომის  
ოქმი № 7

ქ. თბილისი

03/06/2023

11<sup>00</sup>სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. მერი კაპანაძე
2. გიორგი ოქიტაშვილი
3. ზურაბ გოგშელიძე
4. აკაკი მიქაბერიძე
5. მირანდა მიქაძე
6. პავლიკა ჯაგუნავა
7. ვალერი არღუთაშვილი

2023 წლის 03 ივნისს, 11:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის 211-ე აუდიტორიაში გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეოთხე სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - მერი კაპანაძემ, რომელმაც კომისიას წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

**დღის წესრიგის პროექტი**

1. ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დამტკიცების შესახებ;
2. კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესის შესახებ;
3. საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობისა და ბათილობის საფუძვლის განსაზღვრის შესახებ;
4. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
5. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებლს რეგისტრაცია;

6. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
7. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებლის რეგისტრაცია;
8. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
9. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებლის რეგისტრაცია;
10. საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაცია;
11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ახალი ფორმის დამტკიცება.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

შესაბამისად, წარმოდგენილ დღის წესრიგის პროექტს კომისიამ კენჭი უყარა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი შემდეგი სახით:

#### დღის წესრიგი

1. ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დამტკიცების შესახებ;
2. კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესის შესახებ;
3. საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობისა და ბათილობის საფუძვლის განსაზღვრის შესახებ;
4. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
5. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელს რეგისტრაცია;
6. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
7. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებლის რეგისტრაცია;

8. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;
9. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებლის რეგისტრაცია;
10. საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაცია;
11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ახალი ფორმის დამტკიცება;

1. ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დამტკიცების შესახებ:

კომისიის თავმჯდომარემ, მერი კაპანაძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების დამტკიცების შესახებ პროექტი. აღნიშნული აზუსტებს და ერთგვაროვანი მოქმედებისათვის ხელშეწყობის საუკეთეს მეთაბიზმია.

კომისიის წევრთა მოსაზრებების გაზიარების შემდეგ, დოკუმენტში ცვლილებების განხორციელების შედეგად, კენჭი უყარეს წარმოდგენილ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით.

2. კენჭისყრის და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესის შესახებ:

კომისიის წევრმა, ვასილ არლუთაშვილმა, კომისიას მოუწოდა ემსჯელათ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე როგორცაა შემაჯამებელ ოქმებზე ხელმომწერთა რაოდენობა და შემდგომი შედეგები ოქმის იურიდიულ ძალაზე.

კომისიის წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ შემაჯამებელი ოქმები (კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების) წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტებს და აუციელებელია დოკუმენტებში განსაზღვრული მონაცემების სიზუსტით შევსება და საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის დასმა; შეცდომის შემთვევაში შესწორების ოქმის გამოყენება, ხოლო შეცდომასთან „შესწ“ აღნიშვნა. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ შემაჯამებელ ოქმებს, რაც ადასტურებს წევრთა უბანზე/ცესკოში ყოფნის ფაქტს. შემაჯამებელი ოქმები იურიდიული ძალის მატარებელია თუ მას ხელს აწერს კომისიის წევრთა უმრავლესობა.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხზე და შემდგომ, კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდა კენჭისყრის და არჩენების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის წესი განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით.

3. საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობისა და ბათილობის საფუძვლის განსაზღვრის შესახებ:

კომისიის მოადგილემ, გიორგი ოქიტაშვილმა, კომისის წევრებს მოახსენა, რომ საარჩევნო დებულებით განსაზღვრულია ბიულეტენების ბათილობისა და ნამდვილობის საფუძველი, თუმცა ერთ-ერთი გარემოება არ არის გათვალისწინებული, რაც საჭიროებს განკარგულების დონეზე დარეგულირებას.

წარმოდგენილ პროექტზე კომისიამ იმსჯელა და კენჭი უყარა:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობისა და ბათილობის საფუძვლის განსაზღვრის შესახებ განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით;

*კომისიის მდივანმა, ზურა გოგშელიძემ, კომისიას წარუდგინა ადგილობრივ ორგანიზაციათა განაცხადები დამკვირვებელ ორგანიზაციებად რეგისტრაციის თაობაზე და ასევე, მოცემულ დამკვირვებლობის მსურველ ორგანიზაციათა მიერ დამკვირვებელ პირებად დასარეგისტრირებელ პირთა მონაცემები. კომისიამ განიხილა 3 ადგილობრივი ორგანიზაციის განაცხადი დამკვირვებლად რეგისტრაციისა და აღნიშნულ ორგანიზაციათა მიერ წარმოდგენილ პირთა შესახებ ინფორმაცია. კომისიამ იხელმძღვანელა დადგენილი წესების მიხედვით და ცალ-ცალკე უყარა კენჭი თითოეულ ორგანიზაციასა და მათ მიერ წარმოდგენილ პირებს დამკვირვებლად რეგისტრაციის თაობაზე (დღის წესრიგით განსაზღვრული მე-4-მე-9 საკითხები). კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:*

4. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია:

კომისიამ განიხილა საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. დაადგინა შესაბამისობა საარჩევნო დებულებითა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების(განკარგულებების) შესაბამისად და კენჭი უყარეს:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო დამკვირვებელ ორგანიზაციად 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებზე ყველა დონის საარჩევნო კომისიაში განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით.

5. საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელს რეგისტრაცია;

კომისიამ იმსჯელა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პირის მონაცემებსა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს დამკვირვებელი ყველა დონის საარჩევნო კომისიაში ცესკოს მდივნის შესაბამისი განკარგულების მიხედვით.

6. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია;

კომისიამ განიხილა ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. დაადგინა შესაბამისობა საარჩევნო დებულებითა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების(განკარგულებების) შესაბამისად და კენჭი უყარეს:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებელ ორგანიზაციად 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებზე ყველა დონის საარჩევნო კომისიაში განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით.

7. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებლის რეგისტრაცია:

კომისიამ იმსჯელა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პირის მონაცემებსა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის დამკვირვებელი ყველა დონის საარჩევნო კომისიაში ცესკოს მდივნის შესაბამისი განკარგულების მიხედვით.

8. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია:

კომისიამ განიხილა ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. დაადგინა შესაბამისობა საარჩევნო დებულებითა და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების(განკარგულებების) შესაბამისად და კენჭი უყარეს:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებელ ორგანიზაციად 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებზე ყველა დონის საარჩევნო კომისიაში განკარგულების შესაბამისი დანართის მიხედვით.

9. ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებლის რეგისტრაცია;

კომისიამ იმსჯელა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პირის მონაცემებსა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის დამკვირვებელი ყველა დონის საარჩევნო კომისიაში ცესკოს მდივნის შესაბამისი განკარგულების მიხედვით.

#### 10. საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების რეგისტრაცია;

კომისიის წევრმა, მირანდა მიქაძემ, კომისიას წარუდგინა 2023 წლის 02 ივნისის ცესკოს აპარატში რეგისტრირებული 2 საარჩევნო სუბიექტის თითო-თითო წარმომადგენელზე განაცხადები; კომისიამ განიხილა განაცხადები თანდართული დოკუმენტაციით საარჩევნო დებულებითა და ცესკოს გადაწყვეტილებებით დადგენილ წესებთან მიმართებით და კენჭი უყარა თითოეულ შესაბამის უბნებზე რეგისტრაციის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლების შესაბამის უბნებზე ცესკოს მდივნის შესაბამისი განკარგულებების მიხედვით.

#### 11. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ახალი ფორმის დამტკიცება;

კომისიის თავმჯდომარემ, მერი კაპანაძემ, წარმოადგინა წინადადება არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფორმაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ, თავმჯდომარის მოადგილის გრაფაში მიეთითოს შემდეგი სახით „თავმჯდომარის მოადგილე/თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი“. აღნიშნული ცვლილების განხორციელება მნიშვნელოვანია, რადგან საარჩევნო რეგულაციების მიხედვით ფიზიკურად, ადგილზე, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე, შესაბამისად, იგი უფლებამოსილია თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ხელი მოაწეროს დოკუმენტაციასაც.



კომისიამ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს;

კენჭისყრის შედეგები:


მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ახალი ფორმა განკარგულების შესაბამისი დანართით.

კომისიის თავმჯდომარე



მერი კაპანაძე

კომისიის მდივანი



ზურაბ გოგშელიძე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N19

2023 წლის 03 ივნისი

ქ.თბილისი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის  
ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ N135/ნ ბრძანების მე-40 მუხლის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 2020 წლის 23 იანვრის „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ N014 დადგენილების, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულებისა (შემდგომში - „საარჩევნო დებულება“) და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში - „ცესკო“) 2023 წლის 11 მაისის „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ N1 განკარგულების (შემდგომში - „რეგლამენტი“) შესაბამისად ცესკო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა დანართი შესაბამისად.


მუხლი 2

წინამდებარე განკარგულება შესასრულებლად სავალდებულოა გამოქვეყნების მომენტიდან.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე



მერი კაპანაძე

კომისიის მდივანი



ზურაბ გოგშელიძე

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ**

**მუხლი 1. საუბნო საარჩევნო კომისია**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში - საარჩევნო კომისია/ცესკო) უნივერსიტეტის ფაკულტეტების (საარჩევნო ოლქი) დონეზე კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად ქმნის საუბნო საარჩევნო კომისიებს.
2. საუბნო საარჩევნო კომისია ფაკულტეტებზე შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან, რომელთაგან საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე აირჩევა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი. სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. საუბნო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით (მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა). საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით მოიწვევა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით. პირველი სხდომის ჩატარების ხელშეწყობას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
3. ცენტრალური საარჩევნო და საუბნო კომისიები კომპეტენციის ფარგლებში მინიჭებული უფლებამოსილებათა დამოწმების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულებისა, ცესკოს გადაწყვეტილებებისა და წინამდებარე რეგულაციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის მიზნით სარგებლობენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდებით.

**მუხლი 2. საუბნო საარჩევნო კომისიაწევრთა უფლება-მოვალეობები**

1. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცედურის დადგენილი წესით წარმართვას, წესრიგის დაცვას, საჭიროების შემთხვევაში ნაკადის მოწესრიგებას და რომელიმე წევრის ჩანაცვლებას. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია პირს მიუთითოს საარჩევნო კომისიის საქმიანობისათვის ხელისშემშლის აღკვეთის თაობაზე, გააფრთხილოს ხარვეზისა და დარღვევის შემთხვევაში, ხოლო განმეორებითი აქტისას კომისიასთან შეთანხმებით უზრუნველყოს საარჩევნო უბნიდან გაძევება, აღნიშნული საკითხი მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში კომისიის წევრთა ხელმოწერით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აუცილებლობისა და შეთანხმების საფუძველზე,

სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით (მიზეზის, დროისა და ხელმოწერის აღნიშვნით) ასრულებს კომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი თავმჯდომარის თანხმობით ამომრჩეველზე გაფუჭებული/დაზიანებული ბიულეტენის შეცვლის მიზნით გასცემს ახალ ბიულეტენს (სასურველია მოხდეს აღნიშნულის აღრიცხვა), ხოლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს უკანა გვერდზე აწერს გაფუჭებულია და ცალკე ინახავს. კომისიის თავმჯდომარეს აქვს საარჩევნო უბნის ბეჭედი, რომელსაც სვამს შემაჯამებელ ოქმზე, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვისას, დოკუმენტაცია გახსნა-დახურვისას და ლუქების გაკეთებისას.

2. **საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი** უზრუნველყოფს სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას, განცხადება/საჩივრის სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციასა და თანმდევი პროცესების აღწერასდა საჭიროების შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებით ითავსებს კომისიის სხვა წევრისათვის დაკისრებულ ფუნქციას. ასევე, კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმსა და სხვა დოკუმენტაციას.
3. **საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი** უზრუნველყოფს ამომრჩეველთა მონაცემების შემოწმებასა და რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენის ამომრჩეველზე გაცემას (ბიულეტენის მეორე მხარეს ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით), შემდგომ ამისა ხელს აწერს ამომრჩეველთა სამაგიდო სიაში და ბიულეტენის გადაცემის ფაქტს ადასტურებინებს ამომრჩეველს სამაგიდოს სიაში ხელმოწერით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით უზრუნველყოფს გაცემული ბიულეტენისა და ხელმოწერების გადათვლას და თავმჯდომარისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო გაცემული, გამოუყენებელი ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა ხელმოწერების მითითება დროის აღნიშვნით სასურველია სარეგისტრაციო ჟურნალში. შეუსაბამობის შემთხვევაში ახსნა-განმარტებას წერს რეგისტრატორი.
4. **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს**, რომელთაც წილისყრის შედეგად ფუნქცია არ მიენიჭათ, თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ანიჭებს საჭიროებიდან გამომდინარე ფუნქციას, რაც აღინიშნება სარეგისტრაციო ჟურნალშიც.
5. წილისყრის პროცედურა უბნზე აღარ ტარდება შემდეგი გადანაწილების პრინციპის გამო, კერძოდ, უბანი, სადაც 5 წევრია, 2 ასრულებს რეგისტრატორის ფუნქციას, თავმჯდომარე - სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ყუთზე ზედამხედველის ფუნქციას, თავმჯდომარის მოადგილე - ნაკადის მომწესრიგებლის ფუნქციას, ხოლო მდივანი პასუხისმგებელია სარეგისტრაციო ჟურნალსა და დოკუმენტაცია მიღება-გაცემაზე, ასევე, შემაჯამებელი ოქმის შევსებაზე;  
უბანი, სადაც 6 წევრია, 3 წევრი ასრულებს რეგისტრატორის ფუნქციას, თავმჯდომარე - სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ყუთზე ზედამხედველის ფუნქციას, თავმჯდომარის მოადგილე - ნაკადის მომწესრიგებლის ფუნქციას, ხოლო მდივანი პასუხისმგებელია სარეგისტრაციო ჟურნალსა და დოკუმენტაცია მიღება-გაცემაზე, ასევე, შემაჯამებელი ოქმის შევსებაზე; ხოლო, სადაც 7 წევრია, 4 წევრი ასრულებს

რეგისტრატორის ფუნქციას, თავმჯდომარე - სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ყუთზე ზედამხედველის ფუნქციას, თავმჯდომარის მოადგილე - ნაკადის მომწესრიგებლის ფუნქციას, ხოლო მდივანი პასუხისმგებელია საარჩევნო პროცესის დასრულების და დოკუმენტაცია მიღება-გაცემაზე, ასევე, შემაჯამებელი ოქმის შევსებაზე.

6. საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ უბანზე დახმარებას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ნაკადის მოწესრიგებაში, წესრიგის დაცვასა და პროცედურების დადგენილი წესით წარმართვის მიზნით წესებზე მითითებაში.

#### **მუხლი 4. დამკვირვებელთა უფლებამოსილება**

1. დამკვირვებელს უფლება აქვს:
  - ა) კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად;
  - ბ) გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერიადგილიდან;
  - გ) დააკვირდეს კენჭისყრის დღეს დარღვევის ოქმების (საჩივრების) რეგისტრაციის პროცესს;
  - დ) კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს.
2. დამკვირვებელს უფლება არ აქვს:
  - ა) ჩაერიოს საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
  - ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
  - გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
  - დ) კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
  - ე) დაარღვიოს საარჩევნო დებულებისა და ცესკოს გადაწყვეტილებებით სხვა უფლებები.

#### **მუხლი 5. საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება**

1. საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 08:00 სთ.
2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან ატარონ სამკედრე ნიშანი (მოწმობა).
3. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები:
  - 3.1. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები;
  - 3.2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები;

3.3.რეგისტრირებული დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტისა და მედია საშუალების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი აუცილებლად უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდეს ნიშანს (მოწმობა).

**4. საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე ჩასატარებელი ღონისძიებები:**

4.1. საარჩევნო უბნის გახსნისას საუბნო საარჩევნო კომისია ამოწმებს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინვენტარს, რომელიც აუცილებელია არჩევნების ჩატარებისათვის.

4.2. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ავსებს სარეგისტრაციო ჟურნალს, რომელშიც აღირიცხება კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და დრო, მათ შორის, კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების ვინაობა, შესვლის დრო და მათი ხელმოწერა, საჩივრები, შენიშვნები და სხვა.

**5. კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის (7 ივნისი) 09:00 საათიდან 18 საათამდე; ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:**

5.1. ამომრჩეველთა ნაკადს კენჭისყრის შენობაში შესვლისას არეგულირებს ნაკადის მომწესრიგებელი; იმისათვის, რომ რიგი არ დადგეს საარჩევნო უბანზე, თითო რეგისტრატორთან დისტანციის დაცვით მხოლოდ ორი ამომრჩევლის შეშვების უფლება აქვს. ასევე, ეკითხება აქვს თუ არა მას პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. *უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან (უცხოელი სტუდენტები) დაკავშირებით მოქმედებს განსხვავებული წესი, მინიჭებული პირადი ნომრისა ანდა მათი ქვეყნის პასპორტის მიხედვით.* აღნიშნული დოკუმენტაცია ამომრჩეველმა რეგისტრაციის მიზნით უნდა წარუდგინოს რეგისტრატორს;

5.1.2 პირველი ამომრჩეველის მოსვლისთანავე ივსება საკონტროლო ფურცელი, რომელთაგან ერთი განთავსდება ყუთში, ხოლო მეორეს ინახავს თავმჯდომარე.

5.2. ამომრჩეველს რეგისტრატორი ამომრჩეველთა სამაგიდე სიაში ამოწმებს წარდგენილი პირადობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის მეშვეობით, რეგისტრატორი აწვდის შესაბამის ბიულეტენს (ხელმოწერილსა და ბეჭედდასმულს), ამის შემდგომ კი ამომრჩეველი თავისი სახელისა და გვარის გასწვრივ ამომრჩეველთა სიაში აწერს ხელს. ამის შემდგომ ამომრჩეველი უფლებამოსილია გადაინაცვლოს საარჩევნო კაბინაში და გამოხატოს ნება, დააფიქსიროს თავისი არჩევანი. საარჩევნო კაბინიდან გამოსული ამომრჩეველი ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ კონვერტში და შემდგომ საარჩევნო ყუთში. ამ პროცედურების გავლის შემდგომ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

6. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება. თუ რაიმე გარემოება აფერხებს კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია ეს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ცენტრალურსაარჩევნო კომისიას და დაელოდოს შესაბამის მითითებებს. ხოლო კენჭისყრის შენობის დროებით ჩაკეტვის, კენჭისყრის შეწყვეტის ან შეჩერების, შემდეგ კენჭისყრის შენობის გახსნისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ (ზემდგომ საარჩევნო კომისიასთან კონსულტაციის შემდეგ) გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია; აღნიშნული გადაწყვეტილება მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში კომისიის წევრთა ხელმოწერებით და საფუძვლით.

7. საარჩევნო უბნის დახურვა:

7.1. კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 18:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში უთითებს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობას. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად ცხადდება, რის შემდეგაც საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს. ლუქი - თეთრი ქაღალდი საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და თავმჯდომარის ხელმოწერით.

7.2. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს სარეგისტრაციო ჟურნალში შეაქვს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი, ასევე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა სხვა პირის სახელი, გვარი (დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედია საშუალების წარმომადგენლის შემთხვევაში, მისი წარმდგენილი ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება) და ხელმოწერით ამოწმებინებს მათ.

7.3. კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ, კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრის შენობის დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

7.4. საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას ხელმოწერების მიხედვით; ასევე, გადამოწმების მიზნით. დამატებით, გაცემულ და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას (გაცემული ბიულეტენის რაოდენობას - გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა). აღნიშნული მონაცემები უნდა დაფიქსირდეს სარეგისტრაციო ჟურნალში. ხოლო გამოცხადებულ ამომრჩეველთა



რაოდენობა ხელმოწერების მიხედვით კომისიის მდივანმა შემაჯამებელ ოქმში უნდა დააფიქსიროს.

7.4.1. საარჩევნო უბნის დახურვისა და საარჩევნო ყუთის გახსნამდე (ყუთის ჭრილი დახურული უნდა იყოს) კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში ასახავს უბანზე მყოფ უფლებამოსილ პირებს. ამის შემდგომ კომისიის თავმჯდომარე მდივნის გარდა გამოვალენს/მიანიჭებს ფუნქციას თუ ვინ იქნება მთვლელებს, არანაკლებ 3 მთვლელს. დამკვირვებელთა არსებობის შემთხვევაში კი დებულების მიხედვით განისაზღვრება მეთვალყურეები.

7.5. საარჩევნო ყუთის გახსნის შემდგომ კომისიის წევრების მონაწილეობით მიმდინარეობის ბიულეტენების დათვლა; ასევე, დახარისხდება ნამდვილი ბიულეტენები კანდიდატების მიხედვით, ბათილი და საექვო ბიულეტენები. საექვო ბიულეტენის ნადვილად ანდა ბათილად აღიარებას ახდენს საარჩევნო კომისია უმრავლესობის გადაწყვეტილებით და აღნიშნულ პროცესს ატარებს ბიულეტენთა დახარისხების შემდეგ. დათვლის პროცესში არ ერევა კომისიის წევრთა გარდა არავინ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები პროცესის ხელისშეშლისა და გონივრული დისტანციური მანძილის დაცვით აკვირდებიან პროცესს.

8. **კენჭისყრის შედეგების შეჯამება** - ბიულეტენების დათვლის შემდგომ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კომისიის ყველა წევრი. შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მატარებელია თუ მას ხელი მოაწერა საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ. შემაჯამებელ ოქმში შეცდომის დაშვებისას დგება შესწორების ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო ქვეკომისიის წევრები, ხოლო შემაჯამებელი ოქმში დაშვებული შეცდომის გასწვრივ იწერება - „შესწ.“, შესაბამისად, შემაჯამებელ ოქმშივე არ ხდება მონაცემების შეცვლა/გადასწორება. შესწორების ოქმი შემაჯამებელი ოქმის განუყოფელ დოკუმენტს წარმოადგენს. ხოლო კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე დგება ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი, რომელიც იურიდიული ძალის მატარებელია თუ მას ხელი მოაწერა საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.
9. საარჩევნო ბიულეტენები, სარეგისტრაციო ჟურნალის განცხადება/საჩივრებთან, ახსნა-განმარტებებთან და სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ცალ-ცალკე ილუქება პაკეტებში, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის წევრები, ამასთან, თითოეულ კონვერტზე/შეკვრაზე უნდა აღინიშნოს დალუქული მასალის ტიპი, საარჩევნო უბნის დასახელება და არჩევნების თარიღი. არ ილუქება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (არსებობის შემთხვევაში - შესწორების ოქმი).
10. საარჩევნო კომისია შემაჯამებელი ოქმის შევსების შემდგომ ინვენტარს, დალუქულ მასალასა და შემაჯამებელ ოქმს წარმოადგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

11. არჩევნების დღეს საჩივარი იწერება საუბნო საარჩევნო კომისიაში, რომელსაც მდივანი ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში და ამასთანავე, აღნიშნავს თანმდევ შედეგებსაც, კერძოდ, დარღვევის ოქმის დაუკმაყოფილებლობის, ნაწილობრივ დაუკმაყოფილებისა და დაუკმაყოფილების თაობაზე; დარღვევის ოქმი განუხილველი დარჩება, თუ საჩივარი შესაბამისად არ იყო წარმოდგენილი და თუ, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (10-15 წთ-ში) პირმა არ წამოადგინა გასწორებული საჩივარი. სარეგისტრაციო ჟურნალში ტარდება ხარვეზით წარმოდგენილი დარღვევის ოქმიც და ასევე, მიეთითება ყოველი შემდგომი პროცესი და შედეგი.

### **მუხლი 6. ფოტოვიდეოგადაღების წესი**

1. კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიის) ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც/რომლებიცარ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.
2. ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის ოთახის გარეთ.
3. კენჭისყრის დღეს დილის 09:00 საათიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პერიოდის ჩათვლით, კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან; ამ ადგილიდან უნდა ჩანდეს საარჩევნო ყუთი.
4. ფოტოვიდეოგადაღების წარმოების წესების დარღვევის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გამეგების შესახებ, რომელიც მიეთითება სარეგისტრაციო ჟურნალში.

### **მუხლი 7. კენჭისყრის ოთახის მოწყობა**

1. კენჭისყრისთვის მზადების და მისი ჩატარების მიზნით საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემენ ყველა საჭირო საარჩევნო დოკუმენტაციას და ინვენტარს, კერძოდ:

1.1. საარჩევნო დოკუმენტაციას:

1.1.1. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიას (სამაგიდო სია - კენჭისყრამდე არაუგვიანეს 1 საათისა);

1.1.2. საარჩევნო ბიულეტენებს;

1.1.3. კონვერტებს;

- 1.1.5. სარეგისტრაციო ჟურნალს;
- 1.1.4. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და „შესწორების ოქმის“ ფორმებს.
- 1.2. საარჩევნო ინვენტარს:
  - 1.2.1. გამჭვირვალე საარჩევნო ყუთს;
  - 1.2.2. საარჩევნო ყუთის ლუქებს;
  - 1.2.3. კენჭისყრის კაბინებს
  - 1.2.4. საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედს;
  - 1.2.5. რეგისტრატორის ბეჭედს.
- 1.3. სხვა საარჩევნო მასალას:
  - 1.3.1. კანდიდატთა სიას;
  - 1.3.2. საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას;
  - 1.3.3. ინფორმაციას თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
  - 1.3.4. განცხადება/საჩივრის წარდგენის წესი
  - 1.3.3. საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს და სხვა.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ერთი დღისა მოაწყონ კენჭისყრის ოთახი. საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს:

- 2.1. ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები;
- 2.2. საარჩევნო უბანზე ამომრჩევლისთვის არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა;
- 2.4. აწყობილი, დაულუქავი საარჩევნო ყუთი.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის

შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის

განკარგულება N20

2023 წლის 03 ივნისი

ქ.თბილისი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2023 წლის 7 ივნისის არჩევნებისათვის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენის წესის დამტკიცების შესახებ

